ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი
N2

ქ. თბილისი; 20 ნოემბერი, 2017 წ. 17:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
გიორგი ჩაკვეტაძე
დავით ჭელიძე
ვახტანგ შაქარიშვილი
ქეთევან მამულაშვილი
ავთანდილ ცინცაძე
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე-ლევან მიქავა.

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბატონმა **ლევან მიქავამ**, იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა - **815** 210 100 ლარით.

როგორც **მომხსენებელმა** განაცხადა, 2018 წლის წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით დედაქალაქის პრიორიტეტებად განსაზღვრულია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარება; საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება. მნიშვნელოვანი ზრდა არის გათვალისწინებული კეთილმოწყობის ღონისძიებებისთვის.

ბატონი **ლევან მიქავას** თქმით, პრიორიტეტებად არის განსაზღვრული **გამწვანების ღონისძიებების განხორციელება და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, ასევე ბიზნესის სტიმულირება და ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია.**

ასევე, ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება განისაზღვრება **85 089 300** ლარით. 2017 წლის ბიუჯეტთან შედარებით **გაზრდილია 14 496,500 ლარით.**

მომხსენებელმა დასძინა, რომ პრიორიტეტის ფარგლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობას **101 055,8 ათასი ლარის ოდენობით,** რომლის ფარგლებშიც ფინანსდება 171 საბავშვო ბაღი, 60000-მდე აღსაზრდელით. პროგრამის ფარგლებში 2014 წლიდან დღემდე დასრულდა 12 ახალი ბაღის მშენებლობა. 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 11 ახალი ბაღის მშენებლობის დასრულება. ასევე, 2017 წელს იგეგმება 10 ახალი ბაღის მშენებლობის დაწყება.

ბატონმა **ლევან მიქავამ** აღნიშნა, რომ **ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები -** განსაზღვრულია **75 124 500 ლარით,** რომელიც 2017 წლის ბიუჯეტთან შედარებით შემცირებულია 1 225 000 ლარით.

ასევე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი განსაზღვრულია 2 400 000 ლარის ოდენობით, რომელიც წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით შემცირებულია 843 500 ლარით. ასევე 999 700 ლარითაა შემცირებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი და 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულია **2 000 000** ლარის ოდენობით. პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია **წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა,** მათ შორის, მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხის დაფარვა 4 000,0 ათასი ლარი და ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)) 831,8 ათასი ლარი.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა შეიცვლება თუ არა ცხოველთა მონიტორინგის სამსახურის შრომითი ანაზღაურებისთვის განკუთვნილი თანხა, რომელიც აღნიშნული სამსახურისთვის გამოყოფილი სახსრების 80% შეადგენს.

ქალბატონმა **ლილემ** ასევე იკითხა იგეგმება თუ არა ბიუჯეტში ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება.

მომხსენებელის განმარტებით, თუკი მომავალში ჩატარებული რეფორმების შედეგად საჭირო გახდება ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება, აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი იქნება ქალაქ თბილისის საკრებულოში.

ბატონმა **ლევან მიქავამ** ასევე განმარტა, რომ ბიუჯეტში როგორც წესი, ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში, შეინიშნება ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების პრაქტიკა,

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია დადგენილების პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 **პუნქტი. ასევე დადგენილების პრეამბულა ტექნიკურად უნდა გაიმართოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

- საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა კომისიის გადაწყვეტილებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ძირითადად იურიდიულად გამართულია და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი ნინო ჯალაღანია